# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №33

ტყიბული                                        20 თებერვალი 2014წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ა.ა.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (დირექტორი: გ. ბოჭორიშვილი ) სახით, და მეორეს მხრივ ―― შპს „NBN" სახით, შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

## 1 ხელშეკრულების საგანი

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ობიექტია დამზადებული ბანერი 500 მ*1.5, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 2 ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს =70= (სამოცდაათი) ლარი ლარს.

## 3 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 (შეივსება შესყიდვის საჭიროების მიხედვით) შენიშვნა ერთეულის დამზადებული ბანერი 500 მ*1.5 1ც * 70ლ =70ლ (ლარი)

## 4. სტანდარტებთან შესაბამისობა

4.1 1.1. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს მსგავს უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

4.2. 4.1. პუნქტიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

## 5 ხელშეკრულების ვადა

5.1. ხელშეკრულების შესრულების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 20 02 დან, 2014წლის 25 02 მდე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი სასაქონლო ზედდებულის, ან/და ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე

6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4. შესყიდვის ობიექტის /ან მისი ნაწილის/ მიღების საბოლოო წამოწყების შედეგად გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრის საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედდებული.

7.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

## 8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესასყიდი საქონელი /ობიექტი/ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

8.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმებით.

8.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, მოწოდებული წერილობითი ფორმით, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

## 9 მხარეთა უფლებები

9.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ინსპექტირება შესასყიდ ობიექტზე.

9.2. შემსყიდველს უფლება აქვს შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

9.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორციელებული მიწოდების ანაზღაურება.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის , მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რაზედაც მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 50 პროცენტის ოდენობით.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „დამკვეთის" და/ან „შემსრულებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით. ასეთი

ემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს წერილობითი სახით.

## 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ, ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 13. მხარეთა პასუხისმგებლობა და სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 მხარეები ფინანსურად და სამართლებრივად სრულად არიან პასუხისმგებელნი საკუთარი კომპეტენციის და დადებული ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

13.3. თუ ასეთი მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ ურთიერთობებში ფორმდება წერილობით ამ ხელშეკრულების დამატების სახით, ან ახალი ხელშეკრულებით.

14.3. ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

14.5. ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა.ა.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება. ქ. ლომაძის მოედ. №3

„ტაოპრივატბანკი "ტყიბული ს/ც. CAVOGE22

ა.ა. GE83TP0034080020000053, ს/კ 219636918

„მიმწოდებელი"

შპს „NBN"

[illegible] 12

ს/კ 445394662

## 11. მხარეთა ხელმოწერა

„შემსყიდველი"

გაერთიანების დირექტორი

გ. ბოტოხაშვილი

/გ. ბოტოხაშვილი /

„მიმწოდებელი"